საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000074152392620

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **2** **05 / თებერვალი / 2020 წ.**

# განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ახმეტაში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 300კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე- 4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის,საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა, და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული **ქ. ახმეტაში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 300კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა** (საკადასტრო კოდი 50. 04.42.535)

- სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 7%-ით -328.0 (სამას ოცდარვა) ლარის ოდენობით.
- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.
- სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობები:
  - მსუბუქი კონსტრუქციის პავილიონის განთავსება (მიმდებარე სკვერში რეკრიაციული ზონის მოწყობა- ბილიკები, სკამები, განათება, გამწვანება).
  - მინიმუმ 40000 (ორმოცი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება ხელშეკრულების გაფორმებიდან ექვსი თვის ვადაში.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში ( ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი